



28.05.2015

„მწვანე ალტერნატივა“: პრემიერ-მინისტრი და სამინისტროები უფლებამოსილებას აჭარბებენ

ახალი ამბები



თეი კანაშვილი

შეუერთდი განხილვას

„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი სსიპ-ების ხელმძღვანელ თანამდებობებზე კვლავ ინიშნებიან შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების არმქონე პირები – როგორც წესი, სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურებიდან და მოქმედი მინისტრის წინა სამსახურიდან გადმოყვანილი კადრები“, - „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ორი წლის საქმიანობის შეფასებისას არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ გარემოს დაცვის საკითხებზე ანგარიში წარმოადგინა.

ანგარიშის მიხედვით, კანონმდებლობა უშვებს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე განხორციელდეს ისეთი საქმიანობები, როგორებიცაა: სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო და კვების, ხე-ტყის გადამამუშავებელი, ქალაქის, ტყავისა და საფეიქრო წარმოება, ზოგიერთი

ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც, მათი თქმით, უარყოფით შეფასებას იმსახურებს.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ანგარიშის მიხედვით, ეს კვლავ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ხდება, რაც უკიდურესად ზღუდავს დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების პროცესში.

„ხელისუფლება ეკონომიკის განვითარებას და ბუნების დაცვას კვლავ ურთიერთგამომრიცხავ მოვლენებად მიიჩნევს. შედეგად, არ ხდება იმ სამართლებრივი მექანიზმების შემოღება/დახვეწა და პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, ანუ მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად“, - ნათქვამია ანგარიშში.

„მწვანე ალტერნატივის“ ანგარიშის მიხედვით, პრემიერ-მინისტრი და ეკონომიკური პროფილის სამინისტროები ზეწოლას ახდენენ გარემოსდაცვით უწყებაზე სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, რითაც თავიანთ უფლებამოსილებას აჭარბებენ.

რაც შეეხება დადებით შეფასებებს, „მწვანე ალტერნატივის“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ჩამოყალიბდა (აღდგა) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელსაც ენერგეტიკის სამინისტროდან დაუბრუნდა სხვადასხვა ფუნქცია/სტრუქტურული ერთეული: სამეურნეო ტყის ფონდის მართვა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობა, ლიცენზიების გაცემა და სხვ.

„ახალმა ხელისუფლებამ გააუქმა რამდენიმე დესტრუქციული ნორმატიული სამართლებრივი აქტი. მაგალითად, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ნადირობასთან დაკავშირებით“, - ნათქვამია „მწვანე ალტერნატივის“ ანგარიშში.

